იანვარი

რეკომენდაცია

- ✓ საკვების განსაზღვრა
- ✓ კონტროლი მღრნელებზე
- ✓ ჰაერის ცირკულაციის შემოწმება, ნესტის, კონდენსატის არსებობაზე
- ✓ კონტროლი დაავადებებზე
- ✓ ჩარჩოების და სკების მომზადება სეზონისათვის
- ✓ გამოწუნებული ფიჭიანი ჩარჩოების გადამუშავება ცვილად
- ✓ სკების გარეგანი დათვალიერება
- ✓ რაც შეიძლება ნაკლებად ვაწუხებთ ფუტკარს
- ✓ ვაკვირდებით საფრენზე ხომ არაა დაგროვილი ცვილის და თაფლის (დაკრისტალებული) ნარჩენები
- ✓ სკას მხოლოდ საჭირო აუცილებლობის შემთხვევაში ვხსნით
- ✓ საფუტკრის ჟურნალის წარმოება

შესასრულებელი სამუშაოები

- ➢ საკვების სიმცირის შემთხვევაში დამატებითი საკვების მიწოდება (კანდი, თაფლიანი ფიჭა)
- ➢ მღრნელების სკაში შეღწევის შემთხვევაში შევამციროთ საფრენის ზომები და შევაკეთოთ დაზიანებები
- ➢ კონდენსატის და ნესტის არსებობის შემთხვევაში გავაუმჯობესოთ ვენტილაცია, საფარი ტილო კუთხეში გადავკეცოთ 10-15 სმ -ზე
- ➢ ნოზემატოზის მსგავსი ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, შევცვალოთ ჩარჩოები ახლით, შევცვალოთ სკა, დავადგინოთ დაავადების გამომწვევი მიზეზები
- ➢ სკების და ჩარჩოების დეზინექცია